გილოცავთ ახალ - 2024 წელს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23-24(301-302) 2023 წ. 1-31 დეკემბერი ფასი 2 ლარი

ჩემო ძვირფასო მოქალაქეებო, თანამემამულენო, მეგობრებო, ემიგრანტებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ მხნეობას, დღეგრძელობას, ხვავს - ბარაქას, მშვიდობიან და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

მიიწურა 2023 წელი თავისი ბევრი კარგითაც და ტკივილითაც...

წლევანდელი წელი გამორჩეული იყო თავისი დატვირთვითა და შედეგებით, სიკეთის ისტორიებითა და ღონისძიებებით.

ვფიქრობ, რომ ამ ერთი წლის მანძილზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მნიშვნელოვანი და სასიკეთო ძვრები განხორციელდა როგორც ინფრასტრუქტურულ და სოციალურ, ასევე ეკონომიკის, კულტურისა და ტურიზმის სფეროში... მე და ჩემს გუნდს არ დაგვიშურებია ძალისხმევა არსებული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, პროექტები პრიორიტეტების მიხედვით მაქსიმალურად გადაგვენაწილებინა.

მე ამაყი ვარ, რომ ჩემი მოსახლეობის მთავარი საჭიროებების გარკვეული ნაწილი მოვაგვარეთ. მიხარია, რომ ახალი იდეებითა და გეგმებით ვხვდებით მომავალ 2024 წელს.

განვმეორდები და აღვნიშნავ, რომ წელს, განსაკუთრებულად მასშტაბური იყო ჩვენი პროგრამები სხვადასხვა მიმართულებებით, დაიგო 13 490 გრძივი მეტრის გზა რომელშიც შედის ისეთი ქუჩები,რომლებიც ათეულობით წლები მიუვალი და ამორტიზირებული იყო. სოფლებში მოეწყო დასასვენებელი და სპორტული სივრცეები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სააღმზრდელო დაწესებულებებს, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს და რაც მთავარია, წელს, გადაიჭრა ყველაზე დიდი პრობლემა, სასმელი წყლის - თითქმის ყველა სოფელში უწყვეტი წყალმომარაგებაა და სამუშაოები კვლავ გრძელდება დარჩენილ მონაკვეთებზე.

ალბათ დამეთანხმებით, რომ დიდი პასუხისმგებლობაა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ათასობით მოქალაქის წინაშე გარკვეული ვალდებულებების არსებობა, მაგრამ, თითოეული მადლიერი ადამიანი, დაპურებული ბენეფიციარი, გაბრწყინებული ბავშვი, გალაღებული ახალგაზრდა - მავიწყებს იმ ძალისხმევას და შრომას, რასაც ჩვენი გუნდი ყოველდღიურ რეჟიმში სამუშაო, თუ არასამუშაო დღეებში, ბევრ დათენებულ ღამეებში ვქმნით - ზოგჯერ საკუთარი ჯანმრთელობის ფასადაც კი...

მერწმუნეთ, რომ ყოველი დილა თქვენით იწყება და ყოველი სადამო თქვენით მთავრდება...

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყველა მოქალაქეს ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის ჩვენი წარმატების გაზიარებისთვის. ეს ჩემი მოტივაცია და მამოძრავებელი ძალაა...

ალბათ დამეთანხმებით, რომ წელს განსაკუთრებულად ლამაზია ჩვენი ქალაქი. განათებული და გაკაშკაშებული... ეს ყველაფერი თქვენ გეძღვნებათ, რათა კიდევ უფრო ამაღლებული განწყობით შევეგებოთ ახალ 2024 წელს...

არაერთი ღონისძიება და აქტივობა მივუძღვენით სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, სპორტსმენებს, ახალგაზრდებს, ეთნიკურ უმცირესობას, სოციალურად დაუცველ და სპეციალური საჭიროების მქონე მოქალაქეებს. წავახალისეთ და დავაჯილდოვეთ გარკვეული მიღწევებისთვის.

მადლობა მერიის გუნდს კარგი მუშაობისთვის, შპს და ა.ა.იპ.-სამსახურებს, მადლობა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს დაუღალავი შრომისთვის... მადლობა მთავრობის ადმინისტრაციას და მის მეთაურს, მადლობა კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატს, სამინისტროებს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც მუდმივად ვგრძნობთ.

ავთანდილ გულიკაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი

11 დეკემბერი მთის საერთაშორისო დღეა

11 დეკემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** პირველ მოადგილესთან **ემზარი კუჭუაშვილთან** და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად მთის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები უხუცესები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები მოინახულა და ტკბილეული და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ***„არის დღეები, რომელიც მოულოდნელი ემოციებით გვავსებს და რჩება, როგორც იმედის, თანადგომისა და მხარდაჭერის განცდა... ჩვენ, თქვენ გვერდით ვართ! ადამიანებს, რომლებიც ჩვენგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ, გადავწყვიტეთ, რომ დღევანდელი დღე მივულოცოთ, სიხარული გავუზიაროთ, გულები გავუთბოთ და მხარში დავუდგეთ“.*** - აღნიშნა **ავთანდილ გულიკაშვილმა.**

ძვირფასო საგარეჯოელებო!



გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ახალ წელს სურვილების ახდენის მოლოდინით ვხვდებით და გისურვებთ, რომ 2024 წელი ყოფილიყოს ბედნიერების, წარმატების და კეთილდღეობის მომტანი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

მინდა ახალი წელი მივულოცო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩვენი ქალაქის და ქვეყნის ხვალინდელი დღისთვის ყოველდღიურად თავდაუზოგავად მუშაობს ,ჩვენს საჯარო მოხელეებს, პოლიციელებს, ექიმებს, პედაგოგებს და წარმატება ვუსურვო საქმიანობაში!

იმედი მაქვს, 2024 წელი ჩვენი ქვეყნისთვის იქნება მშვიდობის, წარმატების, განვითარების, გაძლიერების და გამთლიანების წელი!

ალექსი გილაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ინფრასტრუქტურა-2023

საგარეჯო – ჯაფარიძის ქუჩა

ჩიხებით

სოფელი პატარძეული

ე. წ. უსტიაანთ უბანში სანიაღვრე სისტემისა და გზის მოწყობის სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 626 437 ლარით დაფინანსდა.





სოფელი მანავი

მე7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სოფელი იორმუღანლო

კომპანია "სოკარ ჯორჯიას" და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი პროექტით ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ადაპტირებული სააღმზრდელო დაწესებულება 160 ბავშვზეა გათვლილი.

დიდი ჩაილური

მემორიალური სკვერის მშენებლობა დასრულდა.

სოფელი იორმუღანლო

მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სოფელ იორმუღანლოში მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 1 064 995 ლარს შეადგენს.

სამუშაოების დასრულების შემდგომ, სოფელი იორმუღანლო, თულარი, ლამბალოს და დუზაგრამის მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.



სოფელი თოხლიაური

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 255 551 ლარით დაფინანსდა.

„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“
ნორჩი მოჭადრაკეები

9-10 დეკემბერს ქ.საგარეჯოში ჩატარდა კახეთის ჩემპიონატი 7 და 9 წლიან გოგონებსა და ჭაბუკებში, სადაც მონაწილეობდნენ, როგორც საგარეჯოს, ასევე კახეთის სხვადასხვა ქალაქებიდან (ქ. თელავი,გურჯაანი,დედოფლისწყარო,ლაგოდეხი) ჩამოსული მოჭადრაკეები.

მასპინძლებმა საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს და 4-დან 3 თასი თვითონ დაისაკუთრეს:

7 წლამდე ჩემპიონები - **ზაზა თედიაშვილი და ანასტასია ხასია**; 9 წლამდე - **ნუკა ლოლაძე.**

საპრიზო ადგილები:

7წლამდე ჭაბუკებში III ადგილი - **იოსებ ლოლაძე,**

7 წლამდე გოგონები II ადგილი - **მარიამ თედიაშვილი, III ადგილი - ელენე ჯაიანი,**

9 წლამდე ჭაბუკები - III ადგილი - **დემეტრე ბეჟიტაშვილი.**

მწვრთნელები: **ირაკლი ძვლივიძე, ელენე ფარეშიშვილი, ნანი უნაფძოშვილი.**

ნორჩი ფეხბურთელების დაჯილდოება

16 დეკემბერს, საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე, გარეჯის 2011 წელს დაბადებული ბავშვების დაჯილდოება შედგა, დაჯილდოვდნენ ბავშვები მედლებით, სიგელებითა და თასით, გადაეცათ ინდივიდუალური პრიზებიც:საუკეთესო მეკარე გახდა **თემური ახვერდაშვილი**, საუკეთესო მცველი გახდა **ბაბრიელ დათუნაშვილი,** საუკეთესო ნახევარმცველი **რატი როსტომაშვილი,** საუკეთესო მეპასე **გიორგი ბრატიაშვილი** და საუკეთესო ბომბარდირი **ვატო ბარიხაშვილი**. ოთარ დევდარიანის გაწვრთნილი გუნდი 10 გუნდიანი ჯგუფის გამარჯვებული გახდა 18 თამაშიდან 16 მოიგეს, 1 ფრე ითამაშეს და 1 წააგეს, გაიტანეს 54 გოლი და გაუშვეს 8 გოლი. პლეიოფშიც საკმაოდ წარმატებულად იასპარეზა.

ოთო დევდარიანი:

– დიდ მადლობას ვუხდით, ამ ტურნირის ორგანიზატორს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას ბატონ მამუკა ელიკაშვილს და მის თანამშრომლებს.

მადლობა საფეხბურთო კლუბ გარეჯს, მის ხელმძღვანელს **ლაზარე დათუნაშვილს** იმისთვის რომ საგარეჯოში ფეხბურთი გააცოცხლა. მადლობა მას ამ ლამაზი ჯილდოებისთვის.

– მადლობა მშობლებს გულშემატკივრობისთვის, მადლობა ჩემს დამხმარე მწვრთნელს გიორგი ჯანიბეგაშვილს, მადლობა „გარეჯის“ ასაკობრივი ჯგუფების მწვრთნელებს. წარმატებები ბავშვებო, უფრო მეტი სიხარული მოგეტანოთ მომავალში.მეამაყებით ჩემო ძალიან მაგარო ბიჭებო!

რაგბი
როცა 18 წლის ასაკში ამდენი ტიტული გაქვს...
ტატო ბურთიკაშვილი – გზა პატარძეულის „ვეფხვებიდან“ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ევროპის ჩემპიონობამდე

რაგბის კლუბი პატარძეულის “ვეფხვები“ (დირექტორი **სანდრო პავლიაშვილი**), *ჩვენი მუნიციპალიტეტის ის სპორტული საზოგადოებაა, რომელიც საგარეჯოსა და კახეთის სხვა მუნიციპალიტეტების მოზარდ თაობებს მსოფლიოში პოპულარული სპორტის ამ სახეობას აზიარებს და მცდელობას არ იშურებს მათი ფართო ასპარეზზე გაყვანისათვის. ამის პრეცედენტი უკვე კარგა ხანია შედგა და იმათგან, ვინც სადღეისოდ „ვეფხვებიდან“ საქართველოს ეროვნული ნაკრებსა და აქედან საერთაშორისო არენაზე გაიკაფა გზა, ამ კლუბის აღზრდილი, წარმოშობითაც პატარძეულელი* **ტარიელ (ტატო) ბურთიკაშვილია.**

და აი, ტატო ჩვენი გაზეთის რედაქციის სტუმარია. სპორტული აღნაგობის, ცოტა მორიდებული ახალგაზრდა, სპორტსმენებისათვის დამახასიათებელი ლაკონური პასუხებით გვპასუხობს დასმულ კითხვებზე.

დაიბადა 2005 წელს მშრომელი პატარძეულელი დედ-მამის ოჯახში. მათი სახლი იქვე, პატარძეულის რაგბის კლუბის სავარჯიშო მოედანთანაა. ალბათ ამ სიახლოვემაც იქონია გავლენა, რომ 10 წლისა სავარჯიშოდ რაგბიზე შევიდა მწვრთნელ გიორგი ქვლივიძესთან, რომელიც თავად „ვეფხვების“ აღზრდილი და მოთამაშე გახლდათ. გიორგი ქვლივიძე შემდეგ სხვა მწვრთნელმა - ზვიადი ცუხიშვილმა და მათ შორის კლუბის ამჟამინდელმა დირექტორმა შეცვალა. მათი დახმარებით სულ მალე, სამ - ოთხ წელიწადში მოხვდა „ვეფხვების“ მოზარდთა იმ გუნდში, რომელიც მონაწილეობს საქართველოს პირველი ლიგის ჩემპიონატებში. აქედან კი, როგორც ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშე საქართველოს რაგბის ეროვნულ ნაკრებში აიყვანეს და სადღეისოდ 18 წლამდელთა ნაკრებს 11 ნომრიანი მაისურით ამშვენებს. ეს ნაკრები, როგორც ცნობილია, წელს ჩეხეთში გამართული ევროპის ჩემპიონატის ჩემპიონი გახდა, სადაც პირველ შერკინებაში დაამარცხა შვეიცარიის, ნახევარფინალში ნიდერლანდების, ფინალში კი უძლიერესი პორტუგალიის ეროვნული ნაკრები გუნდი.

– ტატო, როგორც ვიცი წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის გარდა, ეს ტიტული წინა წლებშიც გქონდა. ეს რიგით მერამდენეა? - ვეკითხები ევროპის უკვე მრავალგზის ჩემპიონს.

– ჩეხეთში ეს უკვე მეხუთედ მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონის ტიტული და მიმაჩნია რომ ამ დიდ წარმატებებში, რაც ევროპის ჩემპიონატზე 18 წლამდელთა ეროვნულმა ნაკრებმა მოიპოვა, ჩემი გარკვეული წვლილიცაა შეტანილი.

– ნამდვილად სასიხარულო და ამასათანავე, საამაყოცაა – ჯერ ერთი, მოიპოვო ასეთ პრესტიჟულ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება და მეორე – შენი უშუალო წვლილი ჩადო ასეთი გამარჯვების მოპოვებაში. ძნელი იყო ეს საქმე შენთვის, როგორც აქამდე ევროპის ოთხგზის ჩემპიონისათვის?

– ევროპის ჩემპიონატებში ყოველ წელს ვიღებთ ხოლმე მონაწილეობას, მაგრამ ასეთი დონის ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის მარტო ტიტულები არ კმარა, ამ უფლების მოპოვებისათვის ჩვენ გავიარეთ სპეციალური შესარჩევი ჩემპიონატი, სადაც შეირჩა ნაკრების ძირითადი 28 მოთამაშე და მათ შორის მე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემზე გამოცხადებული ეს ნდობა წარმატებით განვახორციელე.

– ჩემპიონატში რა პოზიციაზე გიწევდა თამაში იქაც ისევ 11 ნომერი იყავი?

– კი ეს იყო ჩემი პოზიცია.

– ევროპის წლევანდელი და სხვა ჩემპიონატებიდან, რომელი იყო შენთვის ყველაზე შედეგიანი და დასამახსოვრებელი?

– ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შარშანდელი ჩემპიონატი, სადაც შევძელი ექვსი (6) ლელოს დადება და გავხდი ბომბარდირი.

– როგორია „ვეფხვებისა“ და საქართველოს 18 წლამდელთა ეროვნული ნაკრების ხუთგზის ევროპის ჩემპიონის უახლოესი გეგმები?

– ამჟამად დაიწყო 2024 წლის ჩემპიონატისათვის საქართველოს 20 წლამდელთა ეროვნული ნაკრების შესარჩევი პერიოდი და ინტენსიური ვარჯიშები. პატარძეულში ზვიადი ცუხიშვილის, ეროვნულ ნაკრებში ზურა ამონაშვილის ხელმძღვანელობით. ჯამში დღეში 5-6 საათი გამომდის, ამას ემატება მგზავრობა პატარძეულიდან თბილისში და პირიქით. ეს წვრთნები და შეკრებები გაგრძელდება წლის ბოლომდე. ახალი წლიდან კი დაიწყება ნაკრების დაკომპლექტება. კონკურენცია ძალიან დიდია და ყოველნაირად ვეცდები ეს ბარიერი წარმატებით გადავლახო.

– სწავლა-განათლების „ჩემპიონატში“ რა შედეგები გაქვს?

– დავამთავრე პატარძეულის საჯარო სკოლა და წელს გავხდი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტი. ისე გადაწყვეტილი მაქვს, ბოლომდე გავყვე რაგბს და ჩემი სიტყვა ვთქვა ქართული რაგბის განვითარება-წინსვლის საქმეში.

–აბა შენ იცი! წარმატებების მომტანი იყოს შენთვის 2024 შობა-ახალი წელი დასახული მიზნების განხორციელების საქმეში.

გივი დაბახიშვილი

ისინი ჩვენი ნათელი მომავალია

25 ოქტომბერს ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა: **ავთანდილ გულიკაშვილმა, ალექსი გილაშვილმა, გიორგი ლალიაშვილმა**, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა **გია თათრიშვილმა,** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულ მოსწავლეებს პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ მიხედვით პორტაბელური კომპიუტერები გადასცეს.

დიახ, პორტაბელური კომპიუტერები გადაეცათ მოსწავლეებს, რომლებმაც 2022-2023 სასწავლო წელს დაასრულეს საბაზისო საფეხურები და საფეხურის ნიშანი აქვთ 10 ქულა დამრგვალების გარეშე.

საამაყოა,რომ ამ დღეს,ჩვენი მუნიციპალიტეტის 26 საჯარო სკოლის 59 წარჩინებულ მოსწავლეს სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში მართლაც უდიდესი საჩუქრები გადაეცათ. მათ შორის იყვნენ მოსავლეები **მარიამ ხითარიშვილი** და **შიო შიოშვილი,** რომელთაც დღეს გაზეთის მკითხველი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე შეხვდება.

მარიამ ხითარიშვილი

– მარიამ, გილოცავთ დამსახურებულ ჯილდო-საჩუქარს. ჩვენი გაზეთის მკითხველი საბიბლიოთეკო ცხოვრებიდან კარგად გიცნობს – აქტიურად მონაწილეობ საგარეჯოს ბიბიოთეკის მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაში, მაგრამ, მოდი, დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველს უფრო ახლოს გავაცნოთ შენი თავი, გვითხარი, რომელი საგნები გიყვარს მეტად?

– გამარჯობა. მე ვარ მარიამ ხითარიშვილი, ნუგზარ ჭანტურიას სახელობის ქ. საგარეჯოს II საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე. მიყვარს ჩემი სკოლა და სწავლა, ამიტომ რომელი საგანი მიყვარს, კონკრეტულად ვერც ერთ საგანს ვერ გამოვყოფ, თუმცა ვადიარებ, რომ ინტერესი და მიდრეკილება უფრო ჰუმანიტარული საგნებისკენ მაქვს.

– მარიამ, მიუხედავად დატვირთული სასკოლო ცხოვრების გრაფიკისა, თავისუფალი დრო ყოველთვის გამოინახება. შენ როგორ ანაწილებ თავისუფალ დროს?

– თავისუფალ დროს მიყვარს ცეკვა, ლიტერატურის კითხვა, მეგობრებთან დროის საინტერესოდ გატარება.

– ქართველი მწერლებიდან ვის გამოარჩევ?

– ქართველი მწერლებიდან უდიდესი სიყვარულით და კვლავაც უდიდესი ინტერესით გამოვარჩევ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ და ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივს“, რადგან ერთში აღწერილია საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ქრონიკები, გამოკვეთილია პატრიოტიზმი და მეორეში კი ქართველი დედის თავდადებული სიყვარული შვილისადმი.

– დედა ვახსენეთ, რა როლს ასრულებს დედა შენს ცხოვრებაში?

– დედა, ნინო ტიგინაშვილი ჩემი ბიოლოგიის მასწავლებელია, ის მაქსიმალურადაა ჩართული ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში. მეხმარება, მაძლევს რჩევებს, მასწავლის... ასე,რომ ჩემთვის დედა ნომერ პირველი მრჩეველი და დამრიგებელია.

– ზემოთ თავისუფალი დრო ვახსენეთ, მხოლოდ სკოლა და ბიბლიოთეკა, თუ სხვა ინტერესებიც გაქვს?

– მიყვარს საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობის მიღება და როგორც თვითონაც ადნიშნეთ, აქტიურად ვარ ჩაბმული საგარეჯოს ბიბლიოთეკის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. ასევე, ვარ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ლიდერი. დავდივარ ცეკვის წრეზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გავიარე ერთწლიანი ლიდერობის კურსი, რომლის შედეგადაც მივიღე ლიდერის სტატუსი,. ლიდერის უფლება-მოვალეობაა, უმცროს თაობას ვასწავლო, როგორ უნდა გახდნენ ლიდერები და რა უნარ-ჩვევები უნდა ახასიათებდეთ მათ. ერთად ხორცს ვასხამთ სხვადასხვა სახის პროექტებს, მაგალითად, გაეროს მოდელირება, ვაწყობთ სხვადასხვა სახის პერფორმანსებს და აღვნიშნავთ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან საერთაშორისო დღეებს.

– და ეს ყველაფერი დღეს, მაგრამ სამომავლოდ რა პროფესიას აირჩევ?

– ამ ეტაპზე პროფესიის არჩევის პროცესში ვარ. რა პროფესიაც არ უნდა ავირჩიო მომავალში, ვეცდები, გამოვიდე ჩემი საქმის პროფესიონალი და ჩემს ქვეყანას გამოვადგე.

– დღევანდელი გადმოსახედიდან, რას ურჩევ შენს თანატოლებს?

– ყველა ჩემს თანატოლს ვუსურვებ იმ ემოციურად ბედნიერი წუთების განცდას, რაც მე განვიცადე წმინდა ადგილას საჩუქრის გადმოცემისას და ვურჩევ ისწავლონ კარგად, რადგან სწავლა ყოველთვის ფასდება.

– გილოცავთ ამ მაღალ ჯილდოს, მიღწეულს ერთობ დიდი ძალისხმევითა და სიბეჯითით. წარმატებებს გისურვებთ მომავალში!

– მადლობა.

შიო შიოშვილი

– შიო, მოდი გავაცნოთ შენი თავი ჩვენი გაზეთის მკითხველს...

– მე ვარ შიო შიოშვილი. ვსწავლობ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლის X კლასში. კლასში 28 მოსწავლე ვართ. აღნიშნული ჯილდო ჩემს გარდა კიდევ ჩვენი სკოლის ოთხმა მოსწავლემ: ***მარიამ როსტიაშვილმა, ნანა არჩუაძემ, გიორგი ოკინაშვილმა და ანანო ტოპეშაშვილმა*** მიიღო.

– შიო, შენი აზრით – დღეს რა არის მოსწავლისათვის საჯილდაო ქვა?

– ჩემი აზრით – სწავლა გააზრებულად და გათვითცნობიერება ყველა დისციპლინის გათვალისწინებით. დღეს გვჭირდება დროის ეფექტურად გამოყენება, წარსულის შესწავლა-გაანალიზება, აწმყოს ჩრდილოვანი მხარეების დანახვა და სწორი დასკვნების გამოტანა და მომავლის მიზანმიმართულად დაგეგმვა. სწავლის გარდა, ჩვენთვის, მოსწავლეებისათვის აუცილებელია საზოგადოებასთან ურთიერთობა, სწრაფვა და გარკვევა – რა შესაძლებლობები გაგვაჩნია, რა შეიძლება გავაკეთოთ მომავლისათვის სასარგებლო, სწორად შევარჩიოთ ჩვენი პროფესია..

– რას იტყვი პედაგოგებზე? შენი აზრით, რა როლი აკისრია პედაგოგს, დამრიგებელს მოსწავლისათვის სწორი გზის ჩვენების საქმეში?

– ალბათ დამეთანხმებით, რომ სწავლის დაწყებითი საფეხური ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია მოსწავლის ცხოვრებაში, რომელსაც შემდგომ უდიდესი წვლილი შეაქვს მის წარმატებულ მომავალში, ამიტომ პირველ რიგში მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი პირველი მასწავლებლის ***მანანა როსტომაშვილის*** მიმართ, რადგან თავდაპირველად მან შემძინა ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რაც სწავლის შემდგომ საფეხურებზე გავაღრმავე და განვავითარე ჩემი ოჯახისა და სკოლის სხვა პედაგოგების დახმარებით. რაც შეეხება სწავლის საბაზისო საფეხურს, ამ ეტაპს ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ქ-ნი ***ნონა ჭიაბერაშვილი*** უძღვებოდა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემი პიროვნული თვისებებისა და მოქალაქეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებაში. ნონა მასწავლებელი ჩემთვის მხოლოდ პედაგოგი არ არის, ის ჩემთვის სამაგალითო ადამიანი, საუკეთესო მრჩეველი და მეგობარია... რაც შეეხება ჩემს ახლანდელ დამრიგებელს ***მარიამ ყორდანაშვილს***, მიხარია, რომ ღირსეულად იკავებს ერთ-ერთი საუკეთესო დამრიგებლის ადგილს ჩემს სასკოლო ცხოვრებაში.... მას შეუძლია გაგრძნობინოს თავი მის თანატოლად, მეგობრად, თანამოაზრედ. ის გამოირჩევა ბავშვისადმი ეფექტური კომუნიკაციის უნარითა და განსაკუთრებული მიდგომებით...

– თავისუფალი დრო, ვამბობთ, როგორ იყენებ მას?

– თავისუფალ დროს ძირითადად მუსიკალურ ინსტრუმენტზე – ფანდურზე დაკვრისათვის ვიყენებ. ასევე, დაკავებული ვარ თანატოლებთან კომუნიკაციით, მიყვარს ფილმების ყურება.

– შიო, საყვარელი პოეტი, მწერალი, რას გვეტყვი?

– გამიჭირდება საყვარელი მწერლის გამორჩევა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“, რომელსაც კიდევ რამდენჯერმე დიდი სიამოვნებით წავიკითხავ, რადგან ავტორის წერის მანერა გამორჩეულია თავისი გულწრფელობით, სიმარტივით და ემოციურობით.

– სპორტის სახეობა, რომელმაც დაგაინტერესა...

– ჩემთვის დიდი ინტერესი გამოიწვია მკლავჭიდმა და დაინტერესებული ვარ ფიტნესით, რადგან ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისათვის და ის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს ჩვენს ცხოვრებაში.

– დედა-თეონა გივიშვილი, საგარეჯოს ფოლკლორულ ანსამბლ „ჩინარის“ სოლისტია. შენი უმცროსი დაიკო ტასო – მღერის. შენ?

– სიმღერით არ ვმღერი, მაგრამ დაკავებული ვარ ქართული ცეკვით და როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიამოვნებას მანიჭებს ფანდურზე დაკვრა.

– შიო, მითხარი, რა გრძნობა გქონდა, როცა საჩუქარი გადმოგცეს, თანაც გადმოგცეს საზეიმო ვითარებაში, შენი თანატოლების, ნაცნობების, უცნობების წინაშე?

– მადლობელი ვიყავი, რადგან ეს საჩუქარი არის სტიმული მოსწავლისათვის და სასიხარულოა, რომ ფასდება მოსწავლის მონდომება.

– რას ამბობს შენი უმცროსი და, როგორ შეხვდა შენთვის საჩუქრის გადმოცემას?

– მას შემდეგ, რაც მივიღე ეს სიმბოლური საჩუქარი, ჩემი და – ტასო, კიდევ უფრო მონდომებული გახდა, რომ იყოს ათოსანი და მანაც აიღოს ეს ჯილდო.

– რა შეიძლება გააკეთოს შენმა თანატოლმა, რომ ეს ჯილდო დაიმსახუროს?

– მათ უნდა დაიმსახურონ უმაღლესი შეფასება საბაზო საფეხურის თითოეულ ეტაპზე და რაც მთავარია, ეს გააკეთონ არა მხოლოდ ჯილდოსათვის, არამედ მათი უკეთესი მომავლისათვის.

– წარმატებებს გისურვებ სამომავლო სწავლისა და ცხოვრების გზაზე.

– მადლობა.



ეტალონის გამარჯვებული

ეტალონის ინტელექტ-ჩემპიონატის 2023 წლის შემაჯამებელ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ***საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ*** **საბა დუჩიძემ.** საბა საქართველოს მასშტაბით 37 მუნიციპალიტეტის ეტალონ მოსწავლეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული მონაწილეა.

საქართველოს „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024“
მუნიციპალური პირველობის გამარჯვებულნი

საქართველოს „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024“-ის ფარგლებში ოქტომბრიდან დაიწყო და დეკემბერში დასრულდა საგარეჯოს მუნიციპალური პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამ ხნის მანძილზე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე ვაჟები და გოგონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კალათბურთში, გეზბერნში, ფრენბურთში, მინი ფეხბურთსა და მხიარულ სტარტებში გამარჯვების მოსაპოვებლად, რაც მათ საშუალებას მისცემდათ ოლიმპიადის შემდგომ, კახეთის რეგიონალურ პირველობაში მონაწილეობისათვის.

საბოლოოდ მინი ფეხბურთში (ვაჟებში) პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ საგარეჯოს IV საჯარო სკოლამ (ფიზადზრდის მასწავლებელი გია ხუროშვილი). მეორე ადგილზე გავიდა წყაროსთავის საჯარო სკოლა.

კალათბურთი 3X3 ვაჟებში გაიმარჯვა პირველმა საჯარო სკოლამ (პედაგოგი ოთარ დევდარიანი), მეორე ადგილზე გავიდა ქალაქ საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლა.

გეზრბენში (გოგონები) გაიმარჯვა ნინოწმინდის საჯარო სკოლამ (პედაგოგი ნინო გოცირიძე), მეორე ადგილზე გავიდა ქალა საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლა.

ვაჟებში გეზრბენში კვლავ ნინოწმინდის საჯარო სკოლა გახდა ჩემპიონი, მეორე ადგილზე გავიდა პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა.

ფრენბურთში (გოგონებში) გაიმარჯვა მზისგულის საჯარო სკოლამ (პედაგოგი სოსო ჭიკაძე), მეორე ადგილი დაიკავა პატარძეულის საჯარო სკოლამ.

ვაჟების ფრენბურთში გამარჯვებული გახდა პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა (პედაგოგი ალიკა როსტიაშვილი), მეორე ადგილის დაიკავა ქალაქ საგარეჯოს I საჯარო სკოლამ.

მხიარულ სტარტებში გაიმარჯვეს ქალაქ საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზე გავიდა ნინოწმინდის საჯარო სკოლის გუნდი.

მუნიციპალურ პირველობაში გამარჯვებული, პირველ ადგილზე გასული სკოლების გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიადის რეგიონალურ პირველობაში, რომელიც კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ჩატარდება.

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023-2024“ მუნიციპალური პირველობა ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული სამსახურის მიერ (ხელმძღვანელი გიორგი კოხტაშვილი). გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ აღნიშნული სამსახურის შესაბამისი სიგელები.

გივი დაბახიშვილი.

ჭადრაკი
გამარჯვებებისკენ

დავით ბურჯანიძე (მარცხნივ), ნუკა ლოლაძე და ირაკლი ქვლივიძე

ეს პატარა მორცხვი გოგონა, რომელიც ახლა ჩემს წინ სასაუბროდ ზის, უკვე თქვენთვის ნაცნობი სახეა, ჩვენი გაზეთის ძვირფასო მკითხველო. დიახ, ის გაგეცნოთ თავის პატარა ძმა - სოსოსთან ერთად. უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ და-ძმა მანავის თემის სოფელ ბურდიანში მცხოვრები და მანავის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. ისინი კვირაში სამი-ოთხი დღე საგარეჯოში მოდიან და აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ (დირექტორი **მამუკა კურდღელაშვილი**) ჭადრაკის სექციის (პედაგოგი **ირაკლი ქვლივიძე**) პატარა მოჭადრაკეები არიან - ნუკი და სოსო ლოლაძეები.

სულ რამდენიმე თვეა, რაც მართლაც სერიოზულად „მოჰკიდეს ხელი“ ჭადრაკის შესწავლას და წარმატებებიც აქვთ. ნუკიმ საქართველოს ჩემპიონატზე რვაწლიან გოგონებში მეხუთე ადგილი დაიკავა = 9 ქულიდან 5,5 ქულით. ასევე, სწრაფ ჭადრაკში 10 წლიან გოგონებში „თელავის თასზე“ მეორე ადგილი დაიკავა - 9-დან 7 ქულით. კახეთის რეგიონულ ჩემპიონატში „სოსო კიკილაშვილის“ თასზე, მეორე ადგილი დაიკავა - 9-დან 7 ქულით. ახლახანს კი, თბილისში გამართულ „ბუხუტი გურგენიძის სახელობის თასზე = 2023-ში“ 8 წლიან გოგონებში 7 ქულიდან 6 ქულით თასი მოიგო.

– ძალიან შრომისმოყვარეები არიან,- მეუბნება საუბარში პედაგოგი ირაკლი ქვლივიძე, -არასდროს ეზარებათ მანძილის გამოვლა, მამა ხელს უწყობს, და ვფიქრობ, სადაც მონდომება და ინტერესია, სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისკენ, იქ ყოველთვის იქნება გამარჯვება. ორივე ძალიან მეიმედება, თუმცა სოსო ჯერ პატარაა, მაგრამ მასაც აქვს თავისი პატარ - პატარა მიღწევები. ვიმედოვნებ, რომ ორივე საგარეჯოს ასახლებენ.

– ჩემი შვილები ვერაფერს შესძლებდნენ, თუ არა მანავის მე-2 საბავშვო ბაღში გატარებული ნაყოფიერი წლები. ბაღის მენეჯერმა ქალბატონმა **მაია მირზაშვილმა** მათში ჭადრაკის ინტერესი აღმოაჩინა და ყველანაირად ცდილობდა მათთვის ხელისშეწყობას,- საუბარში ჩაერთო ნუკის და სოსოს მამა - გოგიტა ლოლაძე,- მადლობა მას ამ სიკეთისთვის და მადლობა ბატონ ირაკლი ქვილივიძეს, რომელიც ძალას, ენერგიას არ იშურებს ჩემი შვილების, ჭადრაკის სექციის მოსწავლეების დაოსტატებისათვის. დიახ, მას დროც არ ენანება და ხშირად დასვენების დღეებშიც ამეცადინებს...

ჩვენ კი გვჯერა, რომ ეს გარჯა, ეს მონდომება შედეგს გამოიღებს და დღევანდელი მოსწავლეები მომავალში ტოლს არ დაუდებენ საქართველოში სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს.

„წლის რეინჯერი“
ცივ-გომბორის აღკვეთილის უფროსი რეინჯერი გელა ღრეული

საქართველოს უნიკალურ ბუნებრივ საგანძურს – დაცულ ტერიტორიებს, სადაც თავმოყრილია ფლორისა და ფაუნის მსოფლიოში უნიკალური ეგზემპლარები, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის თითქმის 13% უკავია. ისინი საქართველოს 24 ტერიტორიულ ადმინისტრაციაშია გადანაწილებული და 400 რეინჯერი იცავს. აქედან გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტია, სადაც სხვებზე მეტი თუ არა, არანაკლები დაცული ტერიტორიაა: ***მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი*** (1022ჰა), ***ყორულის აღკვეთილი*** (1716ჰა), ***იორის აღკვეთილი*** (2126ჰა) და ახლახანს შექმნილი ***ცივ-გომბორის აღკვეთილი*** (5010ჰა).. ჯამში მათ 9874 ჰა ფართობი უკავიათ, სადაც დაცულია გარეკახეთის ფლორისა და ფაუნის უიშვიათესი ეგზემპლარები. ამ ტერიტორიების დაცვა-უსაფრთხოების საქმეს ყოველდღიურად 12 რეინჯერი ემსახურება 24 საათიან დღის რეჟიმში. კერძოდ, მათი ვალია, გამოავლინონ და აღკვეთონ ბრაკონიერობის ფაქტები, გაუმკლავდნენ ბუნებრივ თუ დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებს, ჩაატარონ სამოქმედო არეალში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში იზრუნონ იქ ვიზიტორთა უსაფრთხოებაზე, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია.

მათი ამ ფასდაუდებელი შრომის აღსანიშნავად, ისე, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც ყოველწლიურად ზაფხულში, 21 ივლისს აღინიშნება რეინჯერთა საერთაშორისო დღე და ამასთან დაკავშირებით ხდება წლის საუკეთესო რეინჯერის გამოვლენა და შესაბამისი წამახალისებელი ღონისძიებების გატარება. შეგახსენებთ, რომ „რეინჯერთა დღე“, რეინჯერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ პირველად 2007 წელს აღინიშნა და მას შემდეგ ყოველწლიურად ტარდება. საქართველო კი ამ პროცესში მოგვიანებით, 2017 წლიდან ჩაერთო. „წლის რეინჯერის“ გამოვლინება, რა თქმა უნდა, ხდება დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულების, საუკეთესო მაჩვენებლობისა და პიროვნული თვისებების მიხედვით. ამის მიხედვით, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციას, რომელშიც ზემონახსენები აღკვეთილები შედის, დღიდან ამ წოდების დაწესებისა, წლევანდლამდე ჰყავდა ოთხი „წლის რეინჯერის“ წოდების მქონე რეინჯერი: ***ბესო დიღმელაშვილი, მამუკა ნაცვლიშვილი, ეითიბარ ალიევი*** და ადმინისტრაციის დაცვის სამსახურის უფროსი ***მურმან ებრალიძე***. წლევანდლიდან კი მათ რიგებს კიდევ ერთი ამ წოდების მქონე რეინჯერი, ახლად შექმნილი ცივ-გომბორის აღკვეთილის უფროსი რეინჯერი ***გელა ღრეული*** შეემატა. ეს წოდება და შესაბამისი წახალისება ჩვენებურ რეინჯერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ თბილისის ეროვნულ პარკში, საბადურის ტყის მონაკვეთზე რეინჯერთა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიენიჭა, რომელსაც ამ სამინისტროს მინისტრის მოადგილეები ნინო თანდილაშვილი, კახა კაკაბაძე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილი, საქართველოს მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სხვა სიმბოლურ საჩუქრებთან ერთად გელა ღრეულს, ისე, როგორც სხვა ამ წოდების რეინჯერებს 500 ლარიანი ვაუჩერიც გადაეცა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ბუნებისა და მისი დაცვის სამსახურს უკავშირდება. საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, მიიღო უმაღლესი განათლება მეტყევე-ინჟინრის სპეციალობით და კახეთისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის გარემომცველი ბუნების სამსახურშია. 8 წელი იმუშავა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კახეთის სამხარეო სამსახურში, სამი წელი საგარეჯოს სატყეო მეურნეობაში, მათ შორის ყველაზე დიდი – პატარძეულის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, გიორგიწმინდის, თოხლიაურის (ვიდრე მანავამდე) სატყეო უბნის რეინჯერად. ამით იმის თქმა და ხაზგასმა გვინდა, რომ მისთვის ასე თუ ისე კარგადაა ცნობილი ცივ-გომბორის აღკვეთილის ნიუანსები, სადაც იგი აგერ, უკვე ერთ წელზე მეტია მუშაობს. სხვაც რომ არაფერი იყოს, პროფესიით ბუნების დამცველსა და სამი შვილის მამას, იმის შეხსენება ნამდვილად არ დასჭირდება, რომ შვილებისათვის, მომავალი თაობებისთვის ბუნების დაცვა-შენახვას და მოფრთხილებას რა მნიშვნელობაც ენიჭება. აკი, ქართველი კაცის შექმნილი დიდებული სიმღერაც გვმოძღვრავს „ტყე შეუნახე შვილებსაო“...

ნამდვილად გელა ღრეულსაც ეკუთვნის ის მადლიერების სიტყვები, რომელიც 31 ივლისს რეინჯერის დღეზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა გააჟღერა.

„... დაცული ტერიტორიების ფართობი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 13% შეადგენს. ამ უნიკალურ მრავალფეროვნებას სჭირდება დაცვა, მოვლა, პატრონობა, რეინჯერთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში არის ძალიან დიდი; ისინი ასრულებენ ძალიან მნიშვნელოვან სამუშაოს ბუნების დაცვის საქმეში. მათი წვლილი არის ფასდაუდებელი... ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულება არის გმირობის ტოლფასი. სახელმწიფო ზრუნავს, რომ რეინჯერებს ჰქონდათ, როგორც სათანადო სამუშაო პირობები, ასევე სოციალური გარანტიები, იმისათვის, რომ მათ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი საქმე“.

წარმატებები ჩვენს „წლის რეინჯერს“, მით უმეტეს რომ უახლოეს ხანებში ცივ-გომბორის აღკვეთილში იქ მოწყობილი ეკობილიკებისა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის წყალობით, მოიმატებს ტურისტებისა და ვიზიტორების რიცხვი, რაც კიდევ უფრო გაზრდის მის პასუხისმგებლობას დაკისრებული საქმისადმი.

გივი დაბახიშვილი

ინფრასტრუქტურა-2023

პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქალაქ საგარეჯოს აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე 22 შენობის, მოედნისა და სკვერის რეაბილიტაცია დასრულდა.

ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განახლდა შენობები, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, მოეწყო ტროტუარები და ღობეები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მიმდებარე სკვერს.



სოფელი შიბლიანი

ახალი რეკრეაციული სივრცე მოეწყო.

სოფელი ბადიაური

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მინი სტადიონებისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

ამ ეტაპისათვის, სოფელ ბადიაურს ახალი, მრავალფუნქციური მინი სტადიონი შეემატა.

სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სოფელ ბადიაურში, ე.წ კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტების სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა.

იუბილე

„ჩინარი“ 40 წლისაა

საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ანსამბლ „ჩინარის“ 40 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ხელოვნების დამსახურებულ მუშაკს, ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, საპატიო გარეჯელს **ნელი გულიკაშვილს** და ანსამბლის წევრებს მუნიციპალიტეტის მერმა **ავთანდილ გულიკაშვილმა** სიმბოლური საჩუქრები გადასცა და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

ქალთა ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალებში. 1991 წელს დაჯილდოვდა ვერცხლის ლირითა და დიპლომით. 1996 წლიდან მიენიჭა „სახალხო ანსამბლის“ წოდება და დღემდე აქტიურად აგრძელებს მოღვაწეობას.



„მზიანი საქართველო 2023 “

28 ოქტომბერს ტრადიციულ ფოლკლორულ ფესტივალს - „მზიანი საქართველო 2023 “ საგარეჯომ უმასპინძლა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ: თბილისის, საგარეჯოს, ბათუმის, ხაშურის, მცხეთის, წაღვერის და ახმეტის საბავშვო ფოლკლორული ანსამბლები.

საკონცერტო ნომრების დაწყებამდე, საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, მსვლელობა მოაწყეს და საქართველოს სახელმწიფო დროშა საზეიმო ვითარებაში გაშალეს.

დღის ბოლოს, კულტურის სახლის დიდ დარბაზში საფესტივალო ნომრების ჩვენება მოეწყო, მონაწილე ანსამბლებმა თავიანთი რეპერტუარიდან ეროვნული ცეკვები და სიმღერები შესთავაზეს მაყურებელს.

ღვინის დღეები საგარეჯოში

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ღვინის დღეები გაიმართა საგარეჯოში

ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოდგენილი იყო - მეღვინეების კუთხე, ფოტოზონები, საბავშვო გასართობი სივრცეები და კვების ზონა.

გაიმართა სხვადასხვა ასაკის სტუმარზე გათვლილი შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები.

სპორტი

ბერძნულ რომაული ჭიდაობა
საერთაშორისო ტურნირი



25-27 ნოემბერს ქუთაისში ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის თეიმურაზ აფხაზავას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში 2007-2008 და 2009-2010 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. ტურნირში საქართველოს ამ სტილის ფალავნებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის, თურქეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის წარმომადგენლები, საერთო ჯამში 480 მონაწილე.

ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები (მწვრთნელი **თამაზ ჟიჟიანი**) და შეძლეს ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება. 2009-2010 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში 85 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ბურდიანელი **შოთა ტაბატაძე.** 2008-2009 წლიანებში 80 კგ. წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო წლევანდელი საქართველოს, ევროპისა და ბავშვთა მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ლუკა მარტიაშვილი**, რომელმაც ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში საფინალო შეხვედრაში დაამარცხა სომხეთის წარმომადგენელი. სულ კი ჯამში ხუთი შეხვედრა მოიგო. ამავე ასაკობრივ ჯგუფსა და წონაში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა თოხლიაურელი **საბა ტაბატაძე.**

ორი ვერცხლი წლის ბოლო ასპარეზობიდან

თბილისში, ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრში სამ დღეს - 3 - 4 – 5 დეკემბერს მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონ მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ეს იყო ამ ჭიდაობაში წლის ბოლო შეჯიბრება, სადაც ქართველებთან ერთად თავიანთ ძალებს სომხეთისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდების წარმომადგენლებიც სცდიდნენ, ასპარეზობაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ფალავნებიც. მათგან 2008-2009 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალის მფლობელი გახდა 61 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლუკა თედიაშვილი.**

საინტერესო და დაძაბული გამოდგა 80 კგ. წონით კატეგორიაში ორი ქართველი ევროპის ჩემპიონის - **ლუკა მარტიაშვილისა** და **გიორგი ალადაშვილის** შეხვედრა, სადაც მცირე უპირატესობით ჩემპიონობა ამ უკანასკნელს ხვდა წილად, ჩვენებური ფალავანი კი მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

როგორც ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა **თამაზი ჟიჟიანმა** აღნიშნა, ამჟამად ჩვენი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის წევრები სამწვრთნელ-მოსამზადებელ შეკრებაზე ბაკურიანში არიან, სადაც მომზადებას გადიან 2024 წლის მომავალი რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის. აქვე საგარეჯოს „კლასიკოსთა“ მწვრთნელი დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს და დიდ მადლობას უხდის აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორს **მამუკა კუჭიდლაშვილსა** და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს **ავთანდილ გულიკაშვილს,** იმ დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის რაც მათ წელს ამ სექციის წევრთა მიმართ გამოიჩინეს.

გარეჯელ მკლავჭიდელთა კიდევ ერთი დიდი აღიარება

უკვე კარგა ხანია ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მკლავჭიდის სექციის (მწვრთნელ-მასწავლებელი მამუკა .ბილანიშვილი) მკლავჭიდელათა სახელი შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და მტკიცედ დაიმკვიდრეს სახელი კონტინენტისა თუ მსოფლიოს „უძლიერესი მკლავის“ მფლობელთა შორის. სამაგალითოდ თუნდაც წლევანდელი მათი შედეგები იკმარებს, როცა ჯერ ევროპის, შემდგომ მსოფლიო პირველობიდან 8 – 8 მედალი მოიპოვეს. აქედან „ევროპაზე“ მათ 5 ოქრო; ყაზახეთში, ალმა-ატაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატიდან კი 2 ოქროს მედალი დაიმსახურეს. ეს მედლები 23 წლამდელებში + 90 კგ-ში მოასპარეზე **ბაჩუკი საგინაშვილმა** მოიპოვა, რომელიც ჩემპიონი ორივე მკლავის გადაწევაში გახადა. აქვე, 90 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს პრიზიორი მისი ძმა **ოთარი საგინაშვილი** გახდა. გარდა +90 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონის წოდების მოპოვებისა, ბაჩო საგინაშვილი მონაწილეობდა 100 კგ. წონით კატეგორიაში და შეძლო მარცხენა ხელში ბრინჯაოს მედლის მოპოვება.

ამავე ჩემპიონატზე 15 წლამდელებში +70 კგ. წონით კატეგორიაში ორივე მკლავში ვერცხლის მედალი მოიპოვა **ბაჩო დიდმელაშვილმა. გიორგი დიდმელაშვილმა** მარჯვენა მკლავში მესამე ადგილი დაიკავა 70 კგ. წონით კატეგორიაში. 75 კგ. წონაში ვერცხლის მედალი მოიპოვა **გიორგი ღვინაშვილმა.**

სწორედ ეს და ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებები გახდა იმის საფუძველი, რომ ნოემბერში მკლავჭიდის საერთაშორისო ორგანიზაციის „ARM FIGHT FACTORY-is მიწვევით მამუკა ბილანიშილი და ძმები **ოთარ და ბაჩუკი საგინაშვილები** 10 დღიანი ვიზიტით მიწვეულნი იყვნენ იორდანიაში იქაურ მკლავჭიდელებთან ტრენინგების ჩასატარებლად, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი და კმაყოფილნი დაუბრუნდნენ საგარეჯოს. დაგვეთანხმებით, ეს მათი კიდევ ერთი დიდი აღიარებაა.

წარმატებები ჩვენს მკლავჭიდელებს ამ ახალ „ამპლუაშიც“ დამდეგ 2024 წელს.

გივი დაგახიშვილი

ორი ვერცხლი წლის ბოლო ასპარეზობიდან

თბილისში, ოლიმპიური რეზერვების მომზადების ცენტრში სამ დღეს - 3 - 4 – 5 დეკემბერს მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონ მიხეილ სალაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ეს იყო ამ ჭიდაობაში წლის ბოლო შეჯიბრება, სადაც ქართველებთან ერთად თავიანთ ძალებს სომხეთისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდების წარმომადგენლებიც სცდიდნენ, ასპარეზობაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების ფალავნებიც. მათგან 2008-2009 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედალის მფლობელი გახდა 61 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ლუკა თედიაშვილი.**

საინტერესო და დაძაბული გამოდგა 80 კგ. წონით კატეგორიაში ორი ქართველი ევროპის ჩემპიონის - **ლუკა მარტიაშვილისა** და **გიორგი ალადაშვილის** შეხვედრა, სადაც მცირე უპირატესობით ჩემპიონობა ამ უკანასკნელს ხვდა წილად, ჩვენებური ფალავანი კი მეორე ადგილზე აღმოჩნდა.

როგორც ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა **თამაზი ჟიჟიანმა** აღნიშნა, ამჟამად ჩვენი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციის წევრები სამწვრთნელ-მოსამზადებელ შეკრებაზე ბაკურიანში არიან, სადაც მომზადებას გადიან 2024 წლის მომავალი რესპუბლიკური ჩემპიონატისთვის. აქვე საგარეჯოს „კლასიკოსთა“ მწვრთნელი დამდეგ შობა-ახალ წელს ულოცავს და დიდ მადლობას უხდის აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ დირექტორს **მამუკა კუჭიდლაშვილსა** და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს **ავთანდილ გულიკაშვილს,** იმ დიდი დახმარებისა და თანადგომისათვის რაც მათ წელს ამ სექციის წევრთა მიმართ გამოიჩინეს.

თავისუფალი ჭიდაობა
ოთხი ოქრო, მრთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო პაულოვანიდან

25 ნოემბერს სოფელ ვაშლოვანში ჩატარდა იქაური ფალავნის, თაზო ზაუტაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2009-2010 და 2011-2012 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის. ასპარეზობაში მასპინძელი მარნეულის მუნიციპალიტეტის მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ გარდაბნის, რუსთავის, თბილისის, ყვარლის და სხვა მუნიციპალიტეტების სპორტული გაერთიანებებების აღსაზრდელები, მათ შორის ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ მანავის (მწვრთელ-მასწავლებელი **ტარიელ როსტომაშვილი),** საგარეჯოს (მწვრთნელ-მასწავლებელი) **დათო ბაბუნიძე, რამაზ ასაბაშვილი)** და ნინოწმინდის (მწვრთნელ-მასწავლებელი **რამაზ ასაბაშვილი, კოტა საგინაშვილი)** თავისუფალი სტილის ჭიდაობის სექციების 12 ფალავნით დაკომპლექტებული გუნდი.

როგორც სხვა ანალოგიურ შეჯიბრებებში, ჩვენებურმა მოჭიდავეებმა არც ვაშლოვანში შეირცხვინეს თავი და ***ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედლით*** დაგვიბრუნდნენ საგარეჯოში.

ტურნირის ჩემპიონები თავიანთი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გახდნენ **შმაგი კუჭუაშვილი (**35 კგ. საგარეჯო), **გიორგი ძვლივიძე** (48 კგ. საგარეჯო), **გიორგი ძისტაური** (57 კგ. ნინოწმინდა) და **გიორგი როსტომაშვილი** (48 კგ. ნინოწმინდა).

ვერცხლის მედალი 52 კგ. წონით კატეგორიაში მოიპოვა **გელა ძვლივიძემ** (საგარეჯო). ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **საბა ღვთისავრიშვილი** (48კგ. საგარეჯო), **გეგა ჩერქეზიშვილი** (48კგ. საგარეჯო) და **ზაზა საბაშვილი** (42 კგ. მანავი). აღსანიშნავია ის, რომ ეს უკანასკნელი სულ ექვს თვემდეა ვარჯიშობს მანავის სექციაში და ასეთი დონის შეჯიბრებაში მონაწილეობისას ასეთ შედეგს მიაღწია.

წარმატებული ასპარეზობები ჩვენს მოჭიდავეებს დამდეგ 2024 წელს.

ფეხბურთი
უმაღლეს ლიგაში გადასვლა მომავალი წლისთვის გადაიდო

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი (Crystalbet-ეროვნული ლიგა-2) მეორე ლიგაში წლეულს სიურპრიზებით დატვირთული აღმოჩნდა. ჩემპიონატის პირველი ნახევარი ჩვენი გუნდის – „გარეჯი-1960“-ის დომინირებით წარიმართა. გარეკახური გუნდი თითქმის უდანაკარგოდ ასპარეზობდა და უახლოს მეტოქეებს ქულების სოლიდური სხვაობით ასწრებდა და ზაფხულის შესვენებამდე ლიგაში არ ჩანდა გუნდი, რომელიც მას უმაღლეს დივიზიონში გადასვლაში შეეცილებოდა, მაგრამ... შემდეგ ბორბალიი უკუღმა დატრიალდა, გახშირდა მარცხები და ფინიშამდე ორი ტურით ადრე გარეჯმა ლიდერობაც დაკარგა. ისე მოხდა, რომ ბოლო ტურში გარეკახელები საკუთარ მოედანზე უშუალო მეტოქეს, ტიტულოვან და დიდი ისტორიის მქონე კლუბს – „კოლხეთი-1913“- ხვდებოდნენ, რომელიც მათ 1 ქულით უსწრებდა. აქედან გამომდინარე, გარეჯელებს მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. გულშემატკივარმა კარგად იცის ამ მატჩის პერიპეტიები, ამიტომ მასზე ბევრს აღარ ვილაპარაკებთ. მხოლოდ შეგახსენებთ, რომ მატჩი ფრედ დასრულდა 1:1, რაც ფოთელებს აწყობდათ და ისინი პირდაპირ გადავიდნენ უმაღლეს ლიგაში.

გარეჯელებს ჰქონდათ კიდევ ერთი შანსი – ეროვნული ლიგა-1-ის ბოლო ადგილოსანი დაემარცხებინათ პლეი-ოფში და ისე მიეღწიათ სანუკვარი ოცნებისათვის, მაგრამ არც აქ გაუმართლათ – სტუმრად 1:4 დამარცხდნენ სამტრედიაში და თითქმის უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ საკუთარ მოედანზე საპასუხო მატჩში მაინც შეუპოვრად იბრძოლეს, მეტოქე დაამარცხეს, მაგრამ მხოლოდ 3:1-ზე და უმაღლეს ლიგას ვერ შესწვდნენ, თუმცა ასე ახლოს იყვნენ მასთან. ასეთ დროს ძირითადად გამოუცდელობას აბრალებენ ხოლმე, თუმცა ჩვენ გვინდა ამას უიღბლობაც დავამატოთ, რაც სპორტში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამის მიუხედავად უნდა შევაქოთ გუნდის ხელმძღვანელობა, მწვრთნელები და ფეხბურთელები, რომელთაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს გარეკახური ფეხბურთი და გულშემატკივრებს არაერთი სიხარული მიანიჭეს. იმედი გვაქვს გარეჯელები გულს არ გაიტეხენ და მომავალ წელს აისრულებენ საოცნებოს- გახდებიან საქართველოს ყველაზე პრესტიჟული ლიგის წევრები.

წარმატებები ვუსურვოთ მათ.

ზურაბ აბულაშვილი

ძიუდო

ასპარეზობდნენ საგარეჯოელი ძიუდოისტები

9-10 დეკემბერს ქუთაისში ჩატარდა ცნობილი ქართველი ფალავნების აკაკი კიბორძალისა და დავით ხახალეიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, 2007-2008 წლებში დაბადებულ მოჭიდავეთა შორის, ტურნირში ქართველ ძიუდოისტებთან ერთად მონაწილეობდნენ თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ამ სტილის მოჭიდავეები, მათ შორის ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ წარმომადგენლები.

ტურნირზე 55 კგ. წონით კატეგორიაშ „გარეჯული ფინალი“ გათამაშდა, სადაც ერთმანეთს ორი ლუკა, ლუკა კანჯარაშვილი და ლუკა დარისპანაშვილი დაუპირისპირდნენ. ამ ორთაბრძოლაში იმარჯვა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ლუკა კანჯარაშვილმა, ლუკა დარისპანაშვილი კი მეორე საპრიზო ადგილს დასჯერდა.

საგარეჯოელები ასევე ასახელა და ტურნირის ჩემპიონი 60 კგ.წონის კატეგორიაში გახდა ვახო ჭიაბერაშვილი. ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ ლადო მაჩარიძე (73 კგ.) და გიორგი ნაცვლიშვილი (81 კგ.).

ბათუმში საქართველოს ჩემპიონატზე

ამ დღეებში ბათუმში ჩაატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში დიდების ასაკში, რომელშიც 79 კგ. წონით კატეგორიაში მონაწილეობას იღებდა ჩვენებური ფალავანი **ფირუზ ძვლივიძე.** გარეჯელმა მოჭიდავემ წარმატებით გაიკაფა გზა ნახევარფინალურ შეხვედრამდე, მაგრამ ვერაფერი გააწყო მსოფლიოს ჩემპიონ კენჭაძესთან და საბოლოოდ მესამე საპრიზო ადგილით დაემშვიდობა ბათუმის ტატამს. ამ შედეგით ქვლივიძე შეკანილია საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

გივი დაგახიშვილი

გორში, ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალზე
ერთი და ისევ ჩემპიონი

ქ. გორში ჩატარდა წარმოშობით ახმეტელი ძიუდოისტის, ყოფილი სსრკს, ევროპის და სხვა საერთშორისო ასპარეზობათა ჩემპიონისა და პრიზიორის, საერთშორისო კატეგორიის მსაჯის ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალურ ტურნირი ძიუდოში, 2008-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ამ ასპარეზობაში ჩვენი მუნიციპალიტეტის „სპორტგაერთიანებიდან“ ერთი სპორტსმენი – **ვახტან (ვახო) ჭიაბერაშვილი** იღებდა მონაწილეობას და არავის დაუთმო ჩემპიონის ტიტული და შესაბამისი ოქროს მედალი 60 კგ. წონით კატეგორიაში. ჩვენებური ძიუდოისტის ეს წარმატება მით უფრო საამაყოა, რომ ხანგრძლივი ტრავმის შემდგომ შეძლო საქართველოს 2008-2009 წლებში დაბადებულ ძიუდოსიტთა საუკეთესო თორმეტეულში შესვლა და ამ შედეგის მიღწევა.

ნიკა გილშვილისა და ვანო ოტიაშვილის ხსოვნის ტურნირი საგარეჯოში

საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის ტატამზე ჩატარდა საგარეჯოელი ახალგაზრდა მოჭიდავეების **ნიკა გილაშვილისა და ვანო ოტიაშვილის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2011-2012 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ასპარეზობაში კახეთის რეგიონის ფალავნებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისისა და ქართლის სპორტული საზოგადოებების აღსაზრდელები. ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანებიდან“ ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ **საბა საყვარელაშვილი** (21 კგ.) და **ალეკო ბეჟიაშვილი** (45 კგ.).

მეორე საპრიზო ადგილები დაიკავებს **მათე მათიაშვილმა** (50 კგ.) და **ლუკა აზნაურაშვილმა** (+60 კგ.), მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა **გიორგი შათირიშვილი** (40 კგ.).

ასპარეზობის დასასრულს საპრიზო ადგილებზე გასული საგარეჯოელი და სხვა ფალავნები დაჯილდოვდნენ თასებით (I ადგილოსნები) შესაბამისი მედლებითა სიგელებით.

ასპარეზობას ესწრებოდა და გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოვებაში მონაწილეობდა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** **ავთანდილ გულიკაშვილი.**

მილოცვა

მინდა გაზეთის საშუალებით მივულოცო დამდეგი ახალი წელი და შობა, ვუსურვო ახალ-ახალი წარმატებები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს **ავთანდილ გულიკაშვილს**, მის მოადგილეს **გიორგი ლალიაშვილს,** მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსს **სოფო შაქარაშვილს,** უფროს სპეციალისტს **ქეთევან ბედიაშვილს,** თითოეულ თანამშრომელს. გამოვთქვა გულწრფელი მადლიერება იმ ყურადღებისა და დახმარებისათვის, რასაც ისინი იჩენენ ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხაზით. ყველასთვის ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება გულსისხლძარღვთა დაავადებებისმქონე პაციენტებისადმი დროულად გამოჩენილ დახმარებას - მათთვის სასიცოცხლო მედიკამენტების შეძენისა და ქირურგიული ოპერაციის ოპერატიულად ჩატარების აუცილებლობას. სწორედ მერი და მისი მოადგილე, სოფო შაქარაშვილი, ქეთი ბედიაშვილი და მათი სამსახურის თანამშრომლები არიან ის ადამიანები, რომლებიც უდიდესი სიფაქიზით, ყურადღებით ეპყრობიან თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობას, დროულად აწესრიგებენ სახელმწიფო სამედიცინო დახმარების პროგრამით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და მიზანმიმართულ მსვლელობას აძლევენ ავადმყოფისათვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დახმარებების ხორცშესხმას.

მრავალ ახალ წელს!

დაგბედებოდეთ სიხარული და ბედნიერება!

მაია ანუაშვილი

ექიმი კარდიოლოგი

პატარა მარიამის დაბადებას ვულოცავთ საგარეჯოს ***მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და სახაზინო საქმიანობის განყოფილების უფროსს*** **ხათუნა ყორღანაშვილსა** და მის მეუღლეს **მალხაზ შაქარაშვილს!**

ბედნიერი მომავალი პატარა გოგონას!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია

ქართული ქორეოგრაფიის გარეჯელი ამაგდარი და დესპანი

მსახიობი, მოცეკვავე, ქორეოგრაფი, ქორეოგრაფიული კოსტუმების შემქმნელი და დიზაინერი, გარეჯული კულტურის უღალატო და ღვაწლმოსილი მსახური, სამაგალითო და კოლორიტი გარეჯელი – ასეთად იცნობენ და აფასებენ საგარეჯოელები საგარეჯოს კულტურის სახლის დამსახურებულ მენეჯერს ქ-ნ **თინათინ მეზვრიშვილს,** ადამიანს, რომელიც აგერ უკვე თითქმის 6 ათეული წელია მუხლჩაუხრელად გარეჯული კულტურის სადარაჯოზე დგას და ასეთივე შემართებით ემსახურება იმ დიდ და საშვილიშვილო საქმეს, რასაც საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლების მომავალი თაობების უნიკალური, ქართული ქორეოგრაფიული საიდუმლოებების სწავლება ჰქვია.

თავად იგი ქართულ ცეკვას საგარეჯოში კარგად ცნობილმა ქორეოგრაფმა ჯემალ მღებრიშვილმა აზიარა და 9-10 წლის ასაკში საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში დაუმკვიდრა ადგილი. 15 წლისამ კი საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე რეჟისორ ვახტანგ ფურცელაძის სპექტაკლში „4 სიცოცხლე“ ტელეგრაფისტი გოგონას როლი შეასრულა და თანაც ისეთი გამოჩენილი გარეჯელი მსახიობების გვერდით, როგორებიც შოთა ბაზერაშვილი, ნანული ბილანიშვილი, ქიტა ბუზიაშვილი, ეთერ თედიაშვილი და სხვები გახლდნენ. ცეკვასთან ერთად ეს მისთვის იყო ცხოვრების დიდი გაკვეთილი, რაც შემდგომში მას არაერთხელ გამოადგა და გამოუყენებია. უპირველესი და მთავარი მის ცხოვრებაში ქართული ცეკვა გახლდათ, რომლისადმი ერთგულება და სიყვარული არც ახლა, 70 წლის ასაკში განელებია. საგარეჯოში და ალბათ საქართველოშიც თითებზე ჩამოსათვლელია მოცეკვავეები, ვისაც მასავით ამდენი წელი სცენაზე გაეტარებინოს. ასაკოვან გარეჯელებს ახლაც კარგად გვახსოვს მის მიერ საგარეჯოს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლ „გარეჯში“ შესრულებული სოლო ცეკვები. განსაკუთრებით კი „აჭარული“, რომელიც მისი და ამ ანსამბლის სავიზიტო ბარათი გახლდათ და რომლის შესრულებასაც მაყურებელი სულმოუთქმელად ელოდა.

მისი, როგორც მოცეკვავის კარიერაში, ოქროს ასოებით არის ჩაწერილი „გარეჯის“ საზღვარგარეთული გასტროლები რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ყოფილი სსრკ ქვეყნების და მათი დედაქალაქების სცენებზე. მისი უდავოდ დიდი წვლილიცაა იმ ქება-დიდებასა და ჯილდოებში, რაც იმ დროის ანსამბლს აქვს მოპოვებული. პარალელურად ჰქონდა სახასიათო როლები საგარეჯოს სახალხო თეატრის სცენაზე.

ცეკვისა და სამსახიობო მოღვაწეობისათვის არც გასული საუკუნის 90-იან წლებში მიუნებებია თავი. მაშინ, როცა სხვები თვითგადარჩენისა და ლუკმა-პურის მოპოვებისათვის იბრძოდნენ და გადავიწყებული ჰქონდათ ყველაფერი , საკუთარი რეჟისურით დადგა ორი სპექტაკლი – „დაგვიანებული ბედნიერება“ და „რეპეტიცია, ანუ ტრაგედიის დასაწყისი“.

ჩვენის აზრით, ყველაზე დიდი საქმე, რასაც მან აქტიური სასცენო მოღვაწეობის შემდეგ მოჰკიდა ხელი და 2000 წლის შემდეგ დღევანდლამდე ახორციელებს, ის ქორეოგრაფიული მოღვაწეობაა, რასაც იგი საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის სოფლების მოზარდი თაობებისათვის ქართული ცეკვების სწავლებისათვის ეწევა. ამ მამულიშვილური საქმიანობის ერთგვარი გვირგვინია მის მიერ შექმნილი ანსამბლი „იმედი“, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა მისი ამ კუთხით წარმოებული მუშაობა. ნინოწმინდელი, საგარეჯოელი და მანაველი ბავშვებით დაკომპლექტებულმა ანსამბლმა დაარსებიდან სულ მცირე დროში, 2003 წელს მონაწილეობა მიიღო ბათუმის ბავშვთა ფოლკლორულ ფესტივალში, სადაც პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვა. მომდევნო – 2004, 2005, 2006,2008 წლებში „იმედი“ თურქეთში გამართული ბაიბურთის სახელობის დიდი საერთაშორისო ფესტივალების გრან-პრის მფლობელი ხდება. ყველაფერთან ერთად, ასე განსაჯეთ, ქორეოგრაფიული კოსტუმებიც კი ამ ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონის მოფიქრებული და შექმნილი იყო. როგორც მან ჩვენთან საუბარშიც აღნიშნა, ყველაფერთან ერთად, ეს საქმე და დიზაინერობაც კარგად გამოსდის და სხვადასხვა დროს თავისი აღსაზრდელებისათვის ქართული ცეკვებისათვის 1000-ზე მეტი კოსტუმი აქვს შექმნილი.

გარეჯული და ქართული კულტურის წინაშე პირნათელი, ღირსების მედლის კავალერი, ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი და „ქართული ქორეოგრაფიის დესპანის“ საპატიო წოდებების მფლობელი ქორეოგრაფი სადღეისოდ ქართულ ქორეოგრაფიასთან უდაბნოელ მოზარდებს უწევს დესპანობას, დაუზარელად და უშურველად გადასცემს ათეული წლების მანძილზე დაგროვილ თავის დიდ ცოდნას., რის შედეგადაც „იმედმა, – ასე ჰქვია ამ ანსამბლს, ორჯერ ზედიზედ მოიპოვა ლაურეატის წოდება. ამ და სხვა დამსახურებისათვის მას, როგორც საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერს, აგვისტოში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიამ გადაუხადა ***დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 55 წლის იუბილე.*** ითქვა მრავალი მოსაფერებელი სიტყვა მისი მისამართით.

მოდის ახალი წელი, ახალი გეგმებითა და ახალი იმედებით. ბედნიერ შობა-ახალ წელს, წინსვლასა და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ გარეჯული კულტურის მოამაგე და ამაგდარ, 6 შვილიშვილის ბედნიერ ბებიას.

გივი დაბახიშვილი

დავით ტიგინაშვილის შემოქმედებითი საღამო

დეკემბრის ლამაზ დღეს კულტურის სახლის მცირე დარბაზში, ცნობილი ქართველი საგარეჯოელი პოეტის- **დავით ტიგინაშვილის** შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელიც მისი დაბადებიდან 70-ე წლისთავს მიეძღვნა. საღამოს ადგილობრივი ხელისუფლების, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები, მისი ოჯახის წევრები, მეგობრები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ დავით ტიგინაშვილს დაბადებიდან 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, თვალსაჩინო პოეტური და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ***„ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია”*** მიენიჭა და **ოქროს მედალი გადაეცა.** ხოლო, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა) იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების მიერ პოეტი მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ***მადლობის ფურცელით*** დაჯილდოვდა და ***სიმბოლური საჩუქარი*** გადაეცა.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში

დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.

ტელეფონი: 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური